საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

ხუთშაბათი, ნოემბრის 3
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ყრილობა

31 ოქტომბერი.

### მეოთხე სხდომა

იწყება დილის 12 საათზე. ამხ. სახუნდაძე აკეთებს მოხსენებას ინტერნაციონალზე. მოხსენება ყოველმხრივ და საფუძვლიანად და დაკვირვებით დამუშავებული იყო. მე-2-რე, 2½ და მე-4-ე ინტერნაციონალში შესვლა გადაჭრით უარყო. მე-3 მე ინტერნაციონალის შესახებ კი საღამოს სხდომაზე უნდა გაეკეთებინა მოხსენება. ამ სხდომაზე კი მოსმენილ იქნა ფაკულტეტიური მოხსენება რუსეთის დღევანდელ მდგომარეობაზე პროფესორ შალვა ნუცუბიძის მიერ. სხვა და სხვა შეკითხვებზე მომხსენებლის უკანასკნელის პასუხის შემდეგ რეგლამენტის მიხედვით კრება შესწყდა.

### მეხუთე სხდომა.

იხსნება სად. 7 საათზე. ამხ. ხუნდაძე აგრძელებს მოხსენებას მე-3 მე ინტერნაციონალზე და ამ საკითხის მრავალმხრივი განხილვის შემდეგ მომხსენებელი შესაძლებლად სთვლის ჩვენი პარტია ჩაეწეროს მე-3 მე ინტერნაციონალის თანამგრძნობ პარტიად.

მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. მონაწილეობას ღებულობენ ამხანაგები: თ. ღლონტი, ს. ამაღლობელი, კ. გაჩეჩილაძე, პიშკარიანი, კ მიქელაძე, ვ. კოტეტიშვილი და ეფ. ჩარკვიანი, რომელნიც აღნიშნავენ თავის შეხედულებებს მე 3-მე ინტერნაციონალის შესახებ.

ამის შემდეგ კამათი სწყდება და ყრილობა ირჩევს სარეზოლიუციო კომისიას ინტერნაციონალის შესახებ რეზოლიუციის გამოსამუშავებლად.

სხდომა 11 საათზე სწყდება.

## პარტიული ყრილობა

ამხ. თედო ღლონტის მოხსენება დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ.

(დასასრული)

25 თებერვალს ბოლშევიკების ჯარი შემოვიდა ტფილისში ჩვენ, დეპუტატებს, გვქონდა ჯარების შესახებ რამიშვილის ინფორმაცია.

— ბარბაროსები, მშიერები, ტიტვლები, უიარაღონი—აი სწორედ ასეთი ცნობებს ავრცელებდნენ მთავრობის წევრები. თუ ეს ინფორმაცია საჭირო იყო ჩვენი ჯარის გასამხნევებლად—ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თუ ეს ინფორმაცია, ბურჟუაზიის გაზეთებიდან მიღებული მართლა სჯეროდათ მთავრობას—ის დიდის ყოველგვარი გაკიცხვის, ვინაიდან ამის საქმეში აუცილებელი მტრის ყოველგვარი მდგომარეობის გაცნობა, რომ იმი დაუსჯელად ამჟღავნო. იმთან თამაში ისე არ შეიძლება, როგორც ცეცხლთან.

ბოლშევიკების ჯარი გამოდგა შეგნებულიც, მაძღარიც, შეიარაღებულიც, გამოწყობილიც. ბოლშევიკური ჯარი აღმოჩნდა მრავალრიცხოვანიც, ჯარიც თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, დისციპლინის მქონე და არა ბანდა.

25 თებერვალს ჩვენ კიდევ დავრწმუნდით, რომ ერთად ერთი გზა, ერთად ერთი პოლიტიკა, ერთად-ერთი სარგებლობა ზავშია.

ტფილისთან ჩვენ შეგვეძლო გაცილებით საპატიო ზავის შეკვრა, ვიდრე ტფილისის დაცლის შემდეგ. ჩვენ შეგვეძლო დღეების დაკარგვით ყველაფერი ის დაგვეკარგა, როგორც ვატერლოოსთან ყველაფერი დაკარგა ნაპოლეონმა.

ჩვენ გადავწყვიტეთ სასწრაფოდ გაგვება კავშირი საქართველოს მთავრობასთან, კიდევ გაგვერკვია მდგომარეობა და შეგვეწყვიტა სისხლის დვრა საპატიო, სასარგებლო, სოციალისტური ზავის ნიადაგზე.

26 თებერვალს მოლაპარაკება დავიწყეთ ბოლშევიკების ხელისუფლებასთან. მათ თანხმობა განაცხადეს.

26 თებერვალს ჩვენ თავი მოვუყარეთ ტფილისში დარჩენილი პარტიის მთავარი კომიტეტის წევრებს.

26 თებერვალს მოვიწვიეთ 27 თებერვლისათვის ამხანაგების საჯარო კრება პარტიულ ბიუროში მდგომარეობის გასარკვევად. გამოვეცით გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი".

ჩვენთან მოდიოდნენ ტფილისში დარჩენილი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები, ესერები, ნაციონალ-დემოკრატები, უპარტიოები. შეუძლებელი იყო ძილი. საქმეები იყო უამრავი, ჩვენ არ ვიცოდით მოსვენება.

27 თებერვალს შესდგა კრება. შალვა ნუცუბიძე მოხსენებას აკეთებს. კრებას ესწრება არაპარტიული მოქალაქენიც.

რეზოლუცია ეროვნული რედაქციის ხასიათს იღებს, რედაქცია გზავნის ყველგან ძალებს დაწესებულებების დასაცავად, სასამსახუროთ და სხვა.

შეიქმნა დროებითი მთავარი კომიტეტი. ყველაფერს დრ. მთავარი კომიტეტი აკეთებს. 27 თებერვალს კრებამ დაადასტურა ერთხმად დრ. მთავარ კომიტეტის პოლიტიკა.

შემდეგში თუ როგორი აწარმოვა კომიტეტმა პოლიტიკა საჭირო არ არის ამის დაწვრილებით აღწერა, დაწვრილებით მოხსენება. ზავისათვის საჭირო იყო მუშაობა არა მარტო პარტიის მხრივ, არამედ სხვა ძალების მონაწილეობითაც.

საქ. რევკომთან დავიწყეთ მოლაპარაკება უკვე შეერთებული ძალებით. გ. ქიქოძე, გ ნათაძე, მ. წერეთელი, შ ნუცუბიძე, მე, სეპარატიულად სხვანიც

ზავისათვის საჭირო იყო საფუძვლების გამონახვა. ჩვენ შემდეგი წინადადება წარუდგინეთ საქართველოს რევკომს:

1 საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა,

2, მენშევიკური მთავრობის ხელშეუხებლობა,

3. გაქცეულ ხალხის აღდგენა თავიანთ ალაგას და ბინაზე,

4. საყოველთაო ამნისტია.

5 საქართველოს წითელი ჯარის შექმნა და შემდეგ რუსეთის ჯარის გაყვანა.

ბოლშევიკური მთავრობისათვის უმთავრესი საკითხი იყო რუსეთის სოციალისტურ რევოლიუციის ორიენტაცია და სახელმწიფო ცხოვრების მოწყობა ახალი, სოციალისტური პრინციპების მიხედვით ესე იგი საბჭოთა სისტემის ნიადაგზე.

პრინციპიალურად ჩვენ არა თუ არაფერი გვქონდა საბჭოთა სისტემის და და რუსეთის რევოლიუციის ორიენტაციის, არამედ ეს პოლიტიკა მიგვაჩნდა ერთად ერთ ცხოველმყოფელ პოლიტიკად.

პრესაში ჩვენ დავიწყეთ საბჭოთა წყობილების ეროვნულს ნიადაგზე დაფუძნების ქადაგება.

2 მარტამდე ვერ მოხერხდა საზავო დელეგაციის გაგზავნა, დელეგაცია გაემგზავრა 2 მარტს. მთელი ქართლის გზები აოხრებულიყო, რკინის გზა გაფუჭებული, საუკეთესო ხიდები აფეთქებული, ქართლის ხალხი აცრემლებული, დასჯილი.

მენშევიკური ორგანიზაცია თავდაცვისა გამოდგა ყოვლად უნიათო, უსუსური, პირდაპირ სამარცხვინო, სულ რამდენიმე დღეში ბოლშევიკურმა ჯარმა აიღო გორი, ხაშური, გადალახა სურამის ქედი და 10 მარტს უკვე ქუთაისში იყო.

გზა და გზა ჩვენს წინ გადაიშალა ისტორიიდან ცნობილი სურათები. ქართლი ბოლშევიკურად იყო განწყობილი. კავთისხევში მცხოვრებნი სიკვდილით დაგვემუქრნენ თუ უკან არ დავბრუნდებოდით, ქალები მოგვძახოდნენ ქუჩა-ქუჩა—„მენშევიკები უნდა გაიჟლიტონო". საშინელი დამცირება და სინიდისის ქენჯნა განვიცადეთ,

მეორე სურათიც გადაიშალა ჩვენს წინაშე: დეზერტირების საარაკო სიმრავლე. რევოლიუციონური ჯარის მოწინააღმდეგე ძალებში საზოგადოდ ხშირადაა დეზერტირობა, თუმცა საქართველოს ჯარში სხვა ტიპის დეზერტირებიც აღმოჩნდნენ. საილიუსტრაციოთ აღვნიშნავთ სამწუხარო შემთხვევებს: გორში შეხვდნენ ყოფილი პარტიული ამხანაგები, რომელნიც ავადმყოფობის გამო (ეს ეც საპატიო მიზეზი მტრის ზურგში დასარჩენად!) ჩვენს ჯარს ჩამორჩნენ. ქუთაისში მივედით და ჯარის კაცის ფარაჯაში გამოწყობილი პარტიის მთავარ კომიტეტის წევრებიც დაგვხვდნენ, რომელნიც ავადმყოფობის გამო დარჩენილიყვნენ ბოლშევიკურ ქუთაისში. ამ ვექილონებს ისეთი ავადმყოფობა სჭირდათ, რომ ბოლშევიკების შემდეგ მალე, ორიოდე დღეში იკურნებოდნენ!

ეს ვექილონები ჩვენ ეროვნულ პოლიტიკას ჰგიწუნებენ და არ რცხვენიან, როცა რუსთველის პროსპექტზე დადიან პატიოსან მოქალაქეების სახელით.

ჩვენი აზრი, ჩვენი შეხედულება ყოველ საკითხში ზედმიწევნით გამართლდა. „მენშევიკები ჩავარდნენ საშინელს მდგომარეობაში, ისე დაიხიეს ბათომში, რომ ქემალის ჯარის ნაწილები შემოიყვანეს ქალაქში, რომელმაც ასზე მეტი საუკეთესო ქართველი ახალგაზრდა ისხვერპლა.

ჩვენ ერთსანტელი გვეგლის ტანში, როცა ამ უმანკო სისხლის დვრას ვითვალისწინებთ, რაიც გამოიწვია ყოვლად ხეპრე, უაზრო, აშკარა ავანტიურისტულმა პოლიტიკამ.

ჩვენ ქართველები, გაცილებით უფრო სუსტნი აღმოვჩნდით, ვიდრე ჩვენვე გვეგონა. არ ვფიქრობდით, თუ ჩვენი ჯარი ერთ თვეს მაინც ვერ შესძლებდა ბრძოლას ტფილისის შემდეგ. ასეთი გაკოტრებაში მენშევიკური სამხედრო ორგანიზაციისა არ იცის დედამიწის ზურგზე არც ერთმა ერმა, არც ერთმა ქვეყანამ.

14 მარტს ბათომთან ვეყ ვით. ეორდანიას მთავრობას მოხსენება გაუკეთეთ. უკვე გვიანი იყო. ბათომი ბაბილონის გოდოლს გავდა. საქართველოს სიმდიდრე აქ იყო მოგროვილი. ხელოვნება ძვირფასი ნივთები, ისტორიული მასალები, ოქრო, ვერცხლი, უამრავი ფართალი, „სახაზინო რაზმის" ხალხს კვერცხებიც წამოუღიათ სტამბოლში სავაჭროთ! დღევანდელ ფულზე მრავალი მილიარდის ქონება დაიღუპა. მეკობრების, მენავეების, და სხვა სპეკულიანტების შემწეობით. აუწერელად, უანგარიშოთ, უპატრონოთ დაიღუპა უამრავი სიმდიდრე. ასევე უამრავი ქონება გაიტანეს კიდევ უცხოეთში.

ითვალისწინებთ ყოველივე ამას და კიდევ ეკითხებით თავს: რა აზრი ქონდა ყოველივე ამას? რას ჰკავს ეს პოლიტიკა? სადაა აქ ან ეროვნული პოლიტიკა ან სოციალისტური საქმე. ან რაიმე ნასახი ელემენტარული ღონიერებისა.

ამხანაგებო, დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედებას ახასიათებს მტკიცე ნებისყოფა, აშკარა სიტყვა, გაკაფული გზები, ჩვენს გარშემო დარაზმულია ყველა ბურჟუაზიული პარტია, ჩვენ გვთრგუნს და გვაძაგებს მოწინააღმდეგე—ეს არის სრული იმის მაჩვენებელი, რომ ჩვენს სამოქმედო გეგმა იყო მართალი, ამ მართალი მოქმედების მიხედვით კრიტიკა მეტად მწვავეა, აი ამ სიმწვავის გამოა ჩვენს წინააღმდეგ სასტიკი კამპანია.

ჩვენ არ დაგვეხრია ერთი წუთითაც ჩვენი დროშა, ჩვენი სიტყვა, ჩვენი კალამი.

დრ. მთავარ კომიტეტმა უდიდეს საკითხში—ომისა და ზავის საკითხში, გამოიჩინა ისტორიული შორსმჭვრეტელობა, ამ რთულს საქმეში საქართველოს ერთად ერთი სოციალისტური ეროვნული პარტია გამოდგა თავის სიმაღლეზე და საბედისწერო საათში გადადგა ნაბიჯი, რომელმაც ჩვენს ხალხს მოუტანა დიდი სამსახური.

ამ უდიდეს საკითხის შემდეგ დრ. მთავარ კომიტეტის წ ნაზე გადაიშალა მრავალი საკითხი საშინაო ცხოვრებაში, როგორც საერთოდ, ისე კერძოდ პარტიის სფეროში.

ჩვენი გაზეთის პირველსავე ნომრებიდან იწყება საბჭოთა სისტემის ნიადაგის დაცვით და რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის ორიენტაციით გაშუქება ყოველ საკითხისა. დრ. მთავარ კომიტეტმა რუსის ხალხისათვის თავის პოზიციის გასაცნობად გამოსცა რუსული გაზეთი „Социалист федералист", რომელიც სამი თვე აწარმოვა.

ნება მომეცით მოგახსენოთ ნუსხა იმ საკითხებისა, რომელიც აძრა და რისთვისაც იბრძოდა დრ. კომიტეტი, გაზეთის ნომრების ჩვენებით:

1. ქართული საქმე და ქართული კულტურა № 1 გ ზეთისა,
2. ზავის საკითხი—№ 2.
3. სოც. რევ. ორიენტაცია—№ 2.
4. დაწესებულებების ნაციონალიზაცია—№ 3.
5. ქართული ენა—№ 4.
6. სტამბისა და წიგნების საქმე—№ 5.
7. უნივერსიტეტის საკითხი—№ 7.
8. ეროვნული თვალსაზრისი—№ 9.
9. რუსული „ჩეკა"—№ 10.
10. ქართველ მეომრების დასაფლავება—№ 11.
11. სასამართლო საკითხი—№ 13.
12. საქართველოს ჯარი—№ 12
13. საქართველოს დამოუკიდებლობა—№ 12
14 სახალხო პოლიტიკა—№ 12
15. ლტოლვილების დაბრუნება სამშობლოში—№ 14
16 სახელმწიფოს საზღვარი—№ 15.
17. ტფილისის პოლიტეხნიკუმი—№ 16.
18. ბათომის საკითხი—№ 21.
19. ეროვნული გრძნობა—№ 23.
20. საქართველოში თავისებური პოლიტიკა—№ 24.

შემდეგ ცხოვრებამ წამოაყენა პრაქტიკული ახალი საკითხი: ფულის, საგარეო ვაჭრობის, რკინის გზის, პროფესიონალური კავშირის. ოსეთის, აფხაზეთის, სამაჰმადიანო საქართველოს, ეროვნულ უმცირესობის პრობლემა, გადასახადების, სურსათის. ერთი სიტყვით არ დარჩენილა არც ერთი საკითხი ცხოვრების მიერ აძრული ჩვენ დაუყონებლივ არ გაგვეხილოს, სასწრაფოდვე არ გადაგვეწყვიტოს.

ქართველ ხალხის და სოციალიზმის ინტერესები დავუდევით ჩვენ სარჩულად ყოველ საკითხს, ქართველ ერის და საქართველოს ტერიტორია იყო ჩვენი ზრუნვის, ჩვენი ბრძოლის, ჩვენი ოცნების საგანი.

(დასასრული იქნება).

## საბჭოთა რუსეთი და ანტანტა

რ. ს. ფ. ს. რ. გარეშე საქმეთა სახ. კომისრის ნოტა ანტანტის სახელმწიფოებს.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი, (რადიო). გარეშე საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა, 1921 წლის 23 ოქტომბერს მიმართა ნოტით დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და შეერთებულ შტატების მთავრობებს, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი: „სახელმწიფოთა წარმომადგენლების ბრიუსელის კონფერენციამ დაადგინა რუსეთის მთავრობისათვის დამშეულთა დასახმარებლად კრედიტების მიცემის პირობად მოითხოვონ საბჭოთა რუსეთისაგან მის მიერ რუსეთის წინანდელი მთავრობების ვალების ცნობა. ამ კონფერენციის დადგენილების შესახებ რუსეთის მთავრობისათვის დღევანდლამდე არაფერი უცნობებიათ, მაგრამ რუსეთის მთავრობას დამშეულ ხალხის მასების წინაშე არ სურს დიპლომატიურ ფორმალობას აჰყვეს და თავისი აუცილებელ მოვალეობათ მიაჩნია განაცხადოს თავისი დამოკიდებულების შესახებ ბრიუსელის გადაწყვეტილებისადმი. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა 16 აგვისტოს ბრიტანეთის პარლამენტში წარმოთქმულ თავის სიტყვაში, ჯვაროსნული განზრახვა უწოდა წინადადებას რუსეთის სიმშილის გამოყენების შესახებ იმ მიზნით, რომ აიძულებინონ იგი იცნონ მეფის მთავრობის ვალები. მიუხედავად ამისა, ბრიუსელის კონფერენციამ რუსეთისათვის კრედიტების,—ურომლისოდ დამშეულთათვის სერიოზული დახმარების აღმოჩენა შეუძლებელია,—მიცემის პირობად წამოაყენა საბჭოთა რუსეთის მიერ ძველი ვალების ცნობა. აქცევს რა ყურადღებას ბრიუსელის კონფერენციის მოქმედებაზე ყველა ქვეყნის მშრომელთა და ყველა მოქალაქისას, რომლებისათვის ძვირფასია კაცთმოყვარეობის მოსაზრებები,—რუსეთის მთავრობა ამავე დროს აცხადებს, რომ ძველი ვალების განსაზღვრულ პირობებზე ცნობის წინადადება ახლანდელ დროში არ ეწინააღმდეგება მის საკუთარ განზრახვებს. იგი აღნიშნავს, რომ ოფიციალურ განცხადებებში, როგორც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის, ისე დიდ-ბრიტანეთის მინისტრებისა, თანდათან ის აზრია გამოთქმული, რომ მსოფლიო ომის გათავების სამი წლის შემდეგაც ნამდვილი ზავი კიდევ არ არის დამყარებული; ხალხის მასების გაჭირვება უფრო და უფრო მწვავდება, სახელმწიფო ვალები მატულობენ, ნგრევა იზრდება. სავსებით ცხადია, რომ შეუძლებელია ვიფიქროთ სრული მშვიდობიანობის დამყარებაზე რუსეთის და მისი 180 მილიონიანი მოსახლეობის გარეშე, რომ შეუძლებელია ნგრევის დაძლევა, თუ რუსეთში ნანგრევებს დატოვებენ და რომ საკითხი რუსეთისა და დანარჩენ მსოფლიოს ურთიერთობის შესახებ, რომელიც პირველ ხარისხოვან საკითხს წარმოადგენს, შეუძლებელია გადაიჭრას საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმების გარეშე. სხვა ქვეყნებთან ეკონომიურ ურთი-ერთი—ზედმოქმედების გარეშე რუსეთის ეკონომიური აღორძინება მეტად ძნელი აღმოჩნდა და ამ ამოცანის ასრულება გაჭიანურდება გაცილებით უფრო ხანგრძლივ დროს. მუხრუჭ-გლეხურ მთავრობას ყოველგვარ სხვა მთავრობაზე უკეთესად შეუძლიან ამ გამოცანის შესრულება, და საბჭოთა ხელისუფლება აძლევს უცხოელ კაპიტალს უფლებრივ გარანტიებს და მოგების საკმაო წილს მისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, რათა მოიზიდოს იგი რუსეთის ეკონომიურ მუშაობაში მონაწილეობისათვის. ამ გზით მიმავალი საბჭოთა მთავრობა ცდილობს ეკონომიურ შეთანხმებას ყველა ქვეყნებთან. მისთვის აუცილებელია საბოლოო აქტიური ზავის ჩამოგდება რუსეთსა და სხვა სახელმწიფოთა შორის. იქნება რა ასეთ მიზანს, საბჭოთა ხელისუფლება სხვა სახელმწიფოების მხრით ეჩხება მეფის მთავრობის ძველი ვალების მოთხოვნას. საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მისი მტკიცე რწმენით არც ერთი ხალხი არ არის ვალდებული გადაიხადოს იმ ჯაჭვების დირებულება, რომლებსაც ის ატარებს საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ რუსეთის მთავრობის შეურყეველად აქვს გადაწყვეტილი სხვა სახელმწიფოებთან მიაღწიოს შეთანხმებას და ამიტომ მზად არის მთელი რიგ არსებითი დათმობაზე წავიდეს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში. ის მზად არის იცნოს თავის ვალდებულებანი სხვა სახელმწიფოების წინაშე და მათი მოქალაქეების სახელმწიფო სესხი აღებული 1914 წლამდი მეფის მთავრობის მიერ რომელსაც აქვსხეს შედავ თანხ პირობებში და ეს პირობები საშუალებას აძლევდა მას უზრუნველეყო ვალდებულებათა შესრულების პრაქტიკული შესაძლებლობა—თავის თავად იგულისხმება, რომ ამ ცნობის აუცილებელ პირობათ ამავე დროს უნდა იქნეს დიდი სახელმწიფოების ვალდებულება, რომ ისინი აუცილებლად ბოლოს მოუღებენ ყოველგვარ მოქმედებას, რომლებიც კი საფრთხეს უქადიან საბჭოთა რუსეთს. საბჭოთა რუსეთს შეუძლია მიიღოს თავის თავზე ეს ვალდებულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდი სახელმწიფოები საბოლოოთ დასდებენ, საერთო ზავს და იმისი მთავრობა იქნება ცნობილი დანარჩენ სახელმწიფოების მიერ. ამ მიზნისათვის რუსეთის მთავრობა წინადადებას იძლევა საჩქაროთ მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც განიხილავს ზევით აღნიშნულ ამოცანებს, გაარჩევდა სხვა სახელმწიფოების მოთხოვნას რუსეთის მთავრობისადმი, და რუსეთის მთავრობისას დანარჩენ სახელმწიფოების სადმი, და გამოიმუშავებდა მათთვის საბოლოო საზავო ხელშეკრულებას. ის წინადადება, რომლითაც გამოდის რუსეთის მთავრობა, საუკეთესო დამამტკიცებელია მისი მისწრაფებების სხვა სახელმწიფოებთან ზავის დასამყარებლათ და ეკონომიური ურთიერთობის მოსაწესრიგებლათ. ცხოვრებაში ამ წინადადების გატარებაში დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ყველა სახელმწიფოები და ხალხები. რუსეთის მთავრობა გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ მის წინადადების შემდეგ, ახლო მომავალში მოხდება საბოლოო მოწესრიგება ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობისა რუსეთსა და დანარჩენ სახელმწიფოებს შორის.

## ქართველი ახალგაზრდობა

„ტრიბუნის" № 54-ში მოთავსებულმა ჩემმა წერილმა ქართველი ახალგაზრდობის შესახებ („ჩვენი ყრილობა და რევოლიუციური ახალგაზრდობა") გამოიწვია წერილი ვინმე „ბარნაბა თემლისა", რომელიც „კომუნისტის" № 198 მეტად სცხარობს. ამ წერილს ჩვენ უყურადღებოდ დავტოვებდით, რომ იგი მოთავსებული არ იყოს „კომუნისტის" ფურცლებზე.

მე ვამბობდი „საქართველოს ახალგაზრდობა ლამაზი თვალია საერთაშორისო ახალგაზრდობის, მსოფლიო ახალგაზრდობის მოძრაობის".

„ბარნაბა თემლი" სწერს „ახალგაზრდა „პუბლიცისტს" შეცდომები ებადება" და კითხვას აყენებს „სად ხნანს იქ (ე. ი. ახალგაზრდათა მოძრაობაში)

ქართველი ახალგაზრდობა?" და უპასუხებს „არ!ადა". იგი გ ნ გრძობ: „საქართველოს ახალგაზრდობა ამ მოძრაობაში, რუსეთის ახალგაზრდობასთან ერთად, ებმება მხოლოდ 1917 წ." (ხაზი ჩვენია).

ყოველ ირონიას გარეშე გვ ნდა ურჩიოთ „ბარნაბა თემელს", რომ მეტი გაეცნობოდეს საჭირო ისტორიის, როცა ისტორიულ ფაქტებზე ვლაპარაკობთ. ჩვენ არ გვეგულება ისეთი კალმოსანი, რომელიც არ იცნობდეს რუსეთის ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიას, რომელიც არა თუ 4 წლის ისტორიის მქონეა, არამედ ნ ხევარ საუკუნეზედ მეტი ხანგრძლივია მისი ისტორია. ქართველი ახალგაზრდობა სად იყო თუ არა აქტიურ მონაწილედ ამ მოძრაობაში? ან რომელმა რევოლიუციონერმა არ იცის ახალგაზრდათა კონსპირატიული წრეები საქართველოში 1917 წლამდე?

შეიძლება „ბარნაბა თემელი" მართალაც ისეთი ახალგაზრდაა, რომ მის მეხსიერებას მხოლოდ 1917 წ. მიტინგები, პროცესიები და სხვა ამ სახის „მოძრაობა" ახსოვს მხოლოდ, მაგრამ ისტორია პიროვნების მეხსიერების ფარგლებს სცილდება და ამისათვის საჭიროა ის აკადემიური მუშაობა, რომელიც „ბარნაბა თემელისათვის" პრინციპიალად მიუღებელია, რადგან „ინტელიგენტური ახალგაზრდობა" მხოლოდ ქუჩაში და „ბაღში მოხეტიალე" ყოფილა თურმე.

მაგრამ ესეც არაფერი. „ბარნაბა თემელი" არ სცნობს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც მისი თერმინით „მუშურ-გლეხურ"ს ორგანიზაციას არ წარმოადგენს, ან ახალ კომ. ინტერნაციონალში არ შედის. გარეშე ასეთი ორგანიზაციებისა მისთვის, არც წარსულში არსებულა რაიმე ორგანიზაცია და არც დღეს არსებობს. მაგრამ ამ ლოღიკით რომ ვიაროთ ჰისტორიის ჩარხი უკუღმა უნდა დავაბრუნოთ და ხომ მ გვეხებათ რამდენი ინტელექტუალური სიბრძნეა ამისათვის საჭირო. ამ ლოღიკით სად უნდა მოვათავსოთ საფრანგეთის ახალი მოძრაობა რომელიც მეოცე საუკუნის პირველსავე წლებში იწყება და რომელსაც ხელმძღვანელობს ფევა, სანდრაჰი, პლე, ორესტ კაპოსი, ბრუნო ლონგე და სხვები? ან „გერმანეთის ახალგაზრდობა, რომლის მოძრაობა აქვე [illegible] აღინიშნება და რომელსაც მეთაურობდა კარ. ლიბკნეხტი, კლარა ცეტკინა, დუნკერი და სხვები? სადღა დავმალოთ ავსტრიის ახალგაზრდათა მოძრაობა, რომელიც გასული საუკუნის მე-90 წლებიდან იწყება? სადღა მოვათავსოთ ჩეხიის, ჰუნგრეთის, შვეციის, ნორვეგიის დანიის, ჰოლანდიის, შვეიცარიისა და სხვათა ახალგაზრდობის მოძრაობა? ან თვით ახალ ინტერნაციონალი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1907 წ.

ყოველივე ეს „ბარნაბა თემელისათვის" ალბად ჯერ კიდევ დაფარულია ისტორიის მასალებში. მე არ მინდა მას მივცე თერმინი საბრალო „პოლიტიკოსი" უწოდო მაგრამ გულწრფელად სამწუხაროა, როდესაც ახალგაზრდა მარტო ფრაზეოლოგიით არის გატაცებული და სერიოზულ მუშაობას ვერ ეკარება, ახალგაზრდობა უპირველესად „ცოდნის წყაროს" უნდა ვეწაფებოდეთ და არა „გინების წყაროს".

„ბარნაბა თემელისათვის" თერმინი ინტელიგენტი და თერმინი რეაქციონერი იგივეა და არის დასახული. ამიტომ არის იგი ასე გულმწყრალი უნივერსიტეტისა და სასწავლებლის კედლებზედ. იგი იმასაც კი ცდილობს, რომ ეროვნული პრობლემა გადაჭრას. ის ამბობს „რომ „ერი" —ეს არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოება, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ნაწილებისაგან, კლასებისაგან" ჩვენ ვიცით, რომ სოციოლოგიაში სხვა და სხვა თეორია არსებობს ერის წარმოშობისა და მისი განსაზღვრის შესახებ, მაგრამ „ბარნაბა თემელის" თეორიის მგზავს კი მეცნიერებაში ვერ ვიპოვეთ. მისი თეორია ამ მხრივ მართალაც ორიგინალურია.

საჭიროა გავეცნოთ მეცნიერების მოსაზრებას როდესაც ასეთ კარდინალურ საკითხებს ვეხებით, თორემ მეცნიერებაში არსებობენ „სოლომონ საბრძნობანი". რომელზედაც კავშირს მოვიტეხთ მარტო ფრაზეოლოგიით.

თურმე „დღეს „ერის" პრობლემა, ძირითადიულ მიზნად დასახვა წმინდა ერის კონსერვატიზმია" თუ „ბარნაბა თემელი" არც სასწავლებელში და არც უნივერსიტეტში არ შეიარს, უბრალო ლექსიკონი მაინც იქონიოს. კარგი იქნება, რომ გაეცნოს ეროვნული საკითხის გაშუქებას ლენინისას, ზინოვიევისას, ბუხარინისას და სტალინისას.

წერილის ავტორი აღშფოთებულია, რომ ჩვენ, თურმე „სოც.-ფედერალისტთა ახალგაზრდობის არ არსებულ ძლიერებას ვადიდებთ და ვადმერთებთ". შემდეგ კი განაგრძობს „თქვენ კი ხელოვნურად ძალას წარმოადგენთ ჩვენთვის" (ხაზი ავტორისა) თუ ძლიერი არა ვართ ძლიერი ვიქნებით და თუ ძლიერი ვართ, როგორღა შეგვიძლია თქვენი ძლიერების ხელის შეშლა? მაგრამ ჩვენთვის იყოს ჩვენი „ძლიერება" ქართველ ახალგაზრდობაში.

„ბარნაბა თემელი" სწერს, რომ მარადიული მიზანი ჩვენთვის კომუნიზმია. ასე რომ მისი ისტორიოსოფიით კომუნიზმი არის ის წერტილი, რომელზედაც შეჩერდება სოციალ ძალთა დინამიკა. დიალექტიურად მსრბოლი ისტორიული პროცესი ალბად უკანასკნელ სინთეზს მიაღწევს და მსოფლიოც გაიყინება. არა მგონია ესა სთქვას ვინმემ გარდა „ბარნაბა თემელისა". (ესეც უნივერსიტეტის სიძულვილის შრალია).

წერილის ავტორი განაგრძობს, რომ „მუშურ გლეხური" ახალგაზრდობა 4 წელია სათავეში უდგას საქართველოს ახალგაზრდობას და მას „სოც.-ფედერალიზმთან არაფერი საერთო არა აქვს". როდესაც იდეოლოგიურ კონცეპციების „ერთობაზედ" ლაპარაკი, საქმე ის კი არ არის, ვის რამდენი ჯარი ყავს ან რამდენი ტერიტორია უპყრია ხელთ, არამედ საქმე ის არის, რა პრინციპიალი საფუძვლები არსებობენ „ერთობისათვის". სოც.-ფედ. სარ. პარტია მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იცავდა და იგი დღესაც იცავს ფედერალიზმს, როგორც ერთა ურთი-ერთობის ფორმას და სოციალიზაციას, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის ფორმას. ეს ორი უდიდესი პრინციპი მხოლოდ 4 წელია, რაც სახელმძღვანელოდ გახდა „მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისათვის" და იგი ისე მაინც ნუ გაკადნიერდება, რომ თავისი ბამბა სხვის კაკალზე უფრო აჩხრიალოს.

ლოღიკის მხრივ არ გვინდა შევეხოთ „ბარნაბა თემელის" წერილს, რადგან აზრად არა გვაქვს მისი „დამარცხება", ან საბრალო „პოლიტიკოსის" დარქმევა მაგრამ აღსანიშნავია სხვა მხარე. ავტორი ყოველთვის ხმარობს საქართველოს ახალგაზრდობას და არა ქართველ ახალგაზრდობას. ეს სინამდვილესაც ეწინააღმდეგება. ქართველი ახალგაზრდობა ჩვენთან არის და საქართველოს ახალგაზრდობაზე შეუძლია „ბარნაბა თემელს" ლაპარაკი. იგი მასაც გვიკიჟინებს, რომ ინტელიგენტური ახალგაზრდობა გვყავთო. ეს მართალია. უნდა იცოდეს „ბარნაბა თემელმა" რომ არა თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც ახალგაზრდათა მოძრაობა უფრო მოსწავლე ახალგაზრდობის სახით არსებობდა და არსებობს. ეს ინდუსტრიის პრიმიტიულობით აიხსნება, რაც არ ქმნის პირობებს პროლეტარულ ახალგაზრდათა მოძრაობისათვის. ეს უნდა იცოდეს „ბარნაბა თემელმაც."

საერთოდ მეტად სასიამოვნოა, როდესაც ახალგაზრდა ძალებსა ვხედავთ პოლიტიკურ ასპარეზე, ეს მოწმობს, რომ ახალგაზრდობის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის მოძრაობაში. მაგრამ ახალგაზრდებს ერთი დებულება არ უნდა გვავიწყდებოდეს. ყოველი სიტყვა სიფრთხილით უნდა ვსთქვათ, ყოველი წერილი დიდი მომზადებით უნდა დავწეროთ. თუ მარტო ფრაზეოლოგიას გავყევით ვერც რევოლიუციას შევმატებთ რასმეს და უნაყოფო დილეტანტის სახელს დავიმსახურებთ. ამიტომ „ბარნაბა თემელო" გვმართებს დიდი შრომა და შეყვარება მეცნიერების ტაძრის, რომელსაც თქვენ ცუდად უქცევით. ლენინი, რევოლიუციის ხელმძღვანელი „კომუნისტურ ყოყლოჩინას" უწოდებს მას, ვინც მხოლოდ ფრაზეოლოგიით არის გატენილი და პოლიტიკურ მოვლენების საქმეში თავისი თავი დიდ ავტორიტეტად მიაჩნია. ნუ დავიმსახურებთ ლენინის თერმინს. ამისათვის კი საჭიროა უფრო მეტი მასალების დაგროვება, როდესაც პოლემიკას მართავთ, ვიდრე ეს თქვენს წერილშია მოთავსებული.

ხერ. ამაღლობელი.

## რუსეთის პრესა

გაზეთ „რულნოტ" 1054 № ში აცხადებს: რუსეთი არის ქვეყანა ისლით სახურავისა და „წითელი მამლისა. არც ერთი ქვეყანა ისე არ იტანჯება ცეცხლით, როგორც რუსეთი. შეიძლება იყვეს რომ რუსეთში არ არის ისეთი სოფელი, სადაც არ ჩნდებოდეს ცეცხლი და, სადაც გლეხი არ ეკითხებოდეს თავის თავს.

— ყველაფერი დაიწვა! რა ვქნა? რითი ვუშველო თავს? როგორ მოვახერხო კვლავ ოჯახის აშენება.

გარდა ამისა ჩვენი სამიწადმოქმედო ქვეყანა ყოველთვის დაზიანებული იყო სეტყვით და სხვა სტიქიურ უბედურობით. ყველა ამ უბედურობის წინააღმდეგ არსებობდა საშუალება დაზღვევისა. რევოლიუციის დროს დაზღვევის საქმე დაიფუშა. საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად იყო მოწყობა გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებისა. ეხლა სახალხო კომისარების საბჭომ გამოსცა ახალი დეკრეტი ქონების დაზღვევისა სახელმწიფოებრივად. ამ დეკრეტის ძალით რესპუბლიკის ყველა დასახლებულ პუნქტებში არსდება ქონების დაზღვევა, როგორც ცეცხლისაგან ისე სეტყვისაგან და სხვა."

მართალია ქ. ტფილისში სახლები ახლათ არ არის დაზღვეული, მაგრამ ცეცხლი რუსეთის სოფლებზე ნაკლებ ხშირი მოვლენა არ არის ჩვენ დედაქალაქში და სასურველი იყო ჩვენშიაც გამოცემულიყო სახელმწიფო დაზღვევის დეკრეტი.

გაზეთ „პრავდაში" ამხ. ბლ...ვჩი რომელიც 14 დღე ცხოვრობდა პოლონეთში სწერს: „მთელ ბელორუსიაში, რომელიც შეურთდა პოლონეთს, მემამულენი თავიანთ მამულებში არ ცხოვრობენ და უპირველეს შემთხვევაში მიახურებენ არმიაში ოფიცრებათ, მილიციის და მაზრების უფროსებათ თავიანთ მამულების ახლო. მემამულეთა ადგილებში დაბრუნდენ ძველი მოურავები, რომლებიც მთავრობის დაინტერესებულ წარმომადგენლების დახმარებით ეძებენ და კრეფენ გლეხებიდან პანთა ქონებას: საქონელს ფრინველებს და ინვენტარს. თუ რომ ვერ უპოვნიან მემამულეთა ქონებას მახლობელ მიდამოების გლეხებს ასეთ შემთხვევაში უკანასკნელთ ავალებენ დაუბრუნონ მემამულეს იმდენი ოთხფეხი, ფრინველები და ინვენტარი, რამდენი ქონდათ მათ საბჭოთა ხელისუფლების შემოსვლამდე.

პოლონეთის ახალგაზრდა ოფიცრობა შედგენილია მემამულეთა ვაჟებიდან, სტუდენტებიდან და გიმნაზისტებიდან რომლებიც სასტიკად ექცევიან გლეხებს. პოლონეთის ჯარის კაცებმა დასწვეს სოფელი ჩირნიჟი მისთვის რომ სოფლის გოგოებმა „უარი_თქვეს" მათთან სეირნობაზე, გამოქცეულ გლეხებს პოლონეთის ჯარის კაცები სცემდენ და არ აძლევდენ ნებას ცეცხლის ჩაქრობისას და ეუბნებოდნენ: „დეე დაიწვეს, შეიტყობთ თუ როგორ უნდა მოელოდეთ ბოლშევიკებსო. მთელი სოფელი გადაიწვა. არ გადარჩა არც ფრინველი და არც ოთხფეხი. ხალხი ცარიელი საცვლებით გამოცვივდა ძილში ცეცხლისაგან დამფრთხალი. ამ გვარად ანთავისუფლებენ ხალხს ბოლშევიკებისაგანო, ამბობს ამხ. ბლ...ვჩი.

## ახალი ამბები

— ზუგდიდი 29 ოქტომბერი უკანასკნელ დღეებში აქ დიდი წვიმებია, რაც მოსავლისთვის ფრიად საზიანოა. ქალაქში სიმინდის ფასმა აიწია.

— კახი ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ექიმმა შძახოვმა თავი მოიკლა ქ. ფოთში თვითმკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

— 7 ნოემბერს მუშათა სახლებს დაეშრიგდებათ საბავშო ბიბლიოთეკა. და გაიხსნება 15 საბავშო ბაღი.

— მოკლე ხანში ყოფილ საკამერო თეატრის შენობაში გაიხსნება საზამთრო სეზონი დრამატიული თეატრისა ა. ი. სუმბათაშვილის (იუჟინის) სახელზე. კვირაობით და უქმე დღეებში აქვე გაიმართება დილაობით საბავშო წარმოდგენები.

— მე 13 კომისარიატი ქ. ტფილისში უქმდება და უერთდება ქალაქის 1 კომისარიატს.

— გორის მაზრაში 22 ოქტომბერს გაჩნდა ცეცხლი კაკთისხევის ტყეში, რომელიც 10 ვერსის მანძილზე გავრცელდა. მოხდენილ იყო ადგილობრივი მიდამოების მცხოვრებთა მობილიზაცია ცეცხლის ჩასაქრობათ და გორიდან გაგზავნილია სამხრო ცეცხლის მქრობელი ინსტრუქტორი. მცხოვრებთა ენერგიული დახმარებით ორი დღეღამის განმავლობაში ცეცხლი ჩამქრალი იქმნა.

— ქალაქის წყლის ნაკლულოვანება ეტყობა, ზოგიერთ რაიონებში რამდენიმე დღის განმავლობაში წყალი არ არის. დანარჩენ ადგილებში წყალი მხოლოდ რამდენიმე საათით მოდის.

## უცხოეთი

პარიზი. ოქტომბრის 31-ს დიდი სახელმწიფოთა კავშირის წარმომადგენლებმა შაბათს წარუდგინა უნგრეთის მთავრობას ნოტა, რომელშიაც იხატება სრული კმაყოფილება შესახებ ენერგიული წინააღმდეგობისა მონარქიის რესტავრაციის მიმართ. მცირე ანტანტის წარმომადგენლებმა შაბათს დილას სახელმწიფოების წარმომადგენლებთან თათბირის დროს კატეგორიულად მოითხოვეს სასტიკი ზომების მიღება უნგრეთის შინაურ მდგომარეობის მოსაწყობათ.

მოსკოვი. 1 ნოემბერი, ვენიდან იუწყებიან, დიდი მთავარი ლუდვიგი ვინდიშგრეცის ყოფილი იმპერატორი კარლოსის რწმუნებულის დაჭერას ჩეხოსლოვაკიაში.

მოსკოვი, 1 ნოემბერი. ჩრდილო-გერმანიაში პური მოსავალი 30 მილ. ტონით შარშანდელზე ნაკლებია. სამხრეთ გერმანიაში სასურსათო მდგომარეობა კრიტიკულია.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ფრანგ-ოსმალთა ხელშეკრულობა იწვევს კმაყოფილებას, როგორც ოფიციალურ წრეებში ისე ოსმალთა ხალხის მასაში ოსმალთა პრესა ამ ხელშეკრულებას სთვლის ბედნიერ მოვლენათ და აღნიშნავს რომ საფრანგეთმა ყველაზე უწინ დაიჭირა ოსმალეთთან მეგობრული კავშირით.

ბუხარესტი 31 ნოემბერი, მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და რუმინიის შორის, რომელიც სწარმოებდა ვარშავაში შეჩერებულია იმ საკითხის გამო, რომელიც წამოაყენა რუსეთის დელეგაციამ, რომელზედაც მხარეები ვერ შეთანხმდენ.

## საბჭოთა სახლები

პოლიტიკურ ძალა უფლების ხელში ჩაგდების მეორე დღიდან საქ. რევოლიუციონერ კომიტეტმა მოახდინა სასწრაფო ნაციონალიზაცია ტფილისში არსებულ სასტუმრო—ჰოტელების და კერძო მეპატრონეთა მსხვილ მოვ. სახლების. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ის რაც მუშათა კლასს შეუქმნია საკუთარი ოფლით, განუწყვეტელი შრომით, აუცილებლად მთელი ხალხის, პროლეტარულ სახელმწიფოს სრულ საკუთრებას უნდა შეადგენდეს. რვა თვის პრაქტიკის და გამოცდილების შემდეგ შეუძლებელია იმის აღუნიშვნელობა, რომელიც შედეგად მივიღეთ ამ დარგში.

მენშევიკების ბატონობის ხანა იყო დრო ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მეფობის დრო. ბურჟუაზია ჟორდანია-რამიშვილის განუსაზღვრელი სიმპატიის საშუალებით თავისუფლად სარგებლობდა თავისი ტრადიციით, ადათით, ზნე-ჩვეულებებით, გემოვნებით და ესტეტიკით. ბურჟუაზიულ პოლიტიკამ უმაღლეს წერტილამდე განავითარა სოციალ ცხოვრების ფორმალი მხარეები. ფუფუნების სიმშვენიერე, შინაარსის სიმახინჯე— აი რა ახასიათებდა საზოგადოებრივ არსებობას. ბურჟუაზია დარწმუნებული იყო, სრულიად საბუთიანად, რომ ის, რასაც „ეგი" შექმნის, რასაც „გააკეთებს", სამუდამოდ შერჩებოდა, არავინ შეედავებოდა, არ წაართმევდა. ამას მოყვა სწორედ ამოქმედება კერძო კაპიტალის, ინდივიდუალი თაოსნობის, ინიციატივის საკუთრების, „რისკის" და პასუხისმგებლობის შიშით. სპეკულიაციური კაპიტალმა მართლაც მიაღწია საკუთარი ძალების მობილიზაცია და შეიძლო ოთხი წლის ნგრევა-რღვევის შემდეგ ჩამოექნა საშუალებები და პირობები პირადი კეთილდღეობისათვის. განუწყვეტელი შემოსვლა (რა თქმა უნდა—სპეკულიანტებისა!) ჩ დდებოდა. მოკლედ: ზოგადი თვალსაზრისით, ზედაპირული ერთის შეხედვით ყველაფერი „კეთდებოდა"; „წინ მიიწევდა".

ბურჟუაზიის განკარგვის და ფუფუნების გვერდით გაისმოდა საშინელი წუწუნი მუშათა კლასის, [illegible] გოდება და ზუზუნი მშრომელი ხალხის, მდიდარმა არ იცოდა [illegible] ჰქონდა [illegible] ბით, ევროპულ [illegible] ლამაზებულ [illegible].

ბოლშევიკების შემოსვლამ, საბჭოთა მთავრობის და მუშურ-გლეხურ დიქტატურის დამყარება—დამკვიდრებით ყოველივე ამას მოეღო ბოლო. დღეს არც ერთი დიდი სახლი, არც ერთი ჰოტელი, კინო-თეატრი არ წარმოადგენს განსაზღვრულ ჯგუფის-ბურჟუაზიის საკუთრებას. პროლეტარულ მასსის მდგომარეობა გაუმჯობესა ამ მოვლენამ, მთავრობის გამბედავ პოლიტიკამ, სახელდობრ საბჭოთა სახლების ორგანიზაციის ჩამოყალიბება განმტკიცებამ. ყოველ უსახლ-კაროს, ბოგანოს, ღარიბ-ღატაკს შეუძლია თავისუფლად საბჭოთა თავ-შესაფარებს და საბჭოთა სახლებს შეაფაროს თავი. მეორე მხრივ, საბჭოთა სახლების არსებობა ხელს უწყობს საბჭოთა მუშაკების ნაყოფიერ შრომას. მე ვამბობ იმ განსაკუთრებულ შემთხვევის შესახებ, როდესაც ჩვენს დედაქალაქში ჩამოდიან, თავს იყრიან პროვინციელი სახელმწიფო თუ პარტიულ ორგანიზაციებში მომუშავენი. ძველად საშინელი იყო ამ მხრივ მდგომარეობა: დელეგატი, საგანგებო საქმეებისა გამო გამოგზავნილი პირი ჩვენი ქვეყნის რომელიმე კუთხიდან, ღამეს ქუჩაში ათევდა, რადგან მოსპობილი ჰქონდა საშუალება უფასოთ სადმე თავის შეფარებისა. რასაკვირველია, ამით საერთო სახელმწიფო ინტერესებიც ზარალდებოდა. ამ მხრივ მდგომარეობა პირუკუღმა შეტრიალდა, გაუმჯობესდა.

სამწუხაროდ, შეუძლებელია ერთი ფაქტი არ ავღნიშნოთ ამ შემთხვევაში. დღეს საბჭოთა სახლები მეტად ცუდ და გაპარტახებულ მდგომარეობაში იმყოფება, მათ სჭირდება დიდი რემონტი, შეკეთება. ოთახები ღარიბათაა მორთული არ არის საჭირო ნივთები, განათება-გათბობა. ამის მიზეზი აშკარაა: ბურჟუაზია რაც დადგა მოსპობის ფაქტის წინაშე შეეცადა დაენგრია, გაეფლანგა ყოველივე ის, რაც შემდეგში პროლეტარულ სახელმწიფოს გამოადგებოდა, დასჭირდებოდა. ამის შედეგია, სხვათა შორის, საბჭოთა სახლების არა სასიამოვნო მდგომარეობა. დღეს მუშათა კლასს დიდი ენერგია ძალ ღონის ძლიერი დაძაბვა სჭირდება იმისათვის რომ საქმე გამოასწოროს, ბურჟუაზიული „ესტეტიკა" „ლამაზის" ლამაზ ფორმაში დ. სად, სოციალისტურ შინაარსში, ეს ყოველივე ამას მთავრობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და მე ვრწმუნავ, სადაც იქნება მუშათა ძლიერი მკლავები, მათი თანაგრძნობა, იგი ამას სულ იოლად აასრულებს.

მივხედოთ საბჭოთა სახლებს!

გ. მუშიშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

**დაეკარგა** პირადობის მოწმობა მოკლებული ტფ. სახელ. უნივერსიტეტიდან № 1947 და სტუდენტთა სასადილოს ბარათი № 211. ვაცხადებ გაუქმებულად.
სტ. ეზეკია პორფილეს ძე ხაზარაძე.
55

შაბათს, ნოემბრის 5-ს ქ. ფოთში ნახუტურის ეკლესიაში დილის 11 საათზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

მიხაილ (მიშა) ივლიანეს ძე
კოპალეიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა ლიდა და მამა ივლიანე და ლუბა, ძმები: ვალოდია და ყური კოპალეიშვილები.

გიმნაზიის მასწავლებელი
**ამზადებს მოწაფეებს**
სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია
მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის" რედაქციაში.

საბჭოთა აღმშენებლობისა და მეურნეობის
**გამოფენა**
გაიხსნება ნოემბრის 7, 8, და 9-ს, დილის 10 საათზე, დღის 4 საათამდე, ყოფილ არტისტიულ საზოგად. სახლში (რუსთაველის პროსპ. 19) ნარკომატების წარმომადგენლები გამოფენაზე ახსნა-განმარტებას მიაწოდებენ თავიანთ დაწესებულებებს. ზოგიერთი ნარკომატი თავის ნაშრომ მოქმედების ცდასაც აჩვენებენ მაგალითად, განათლების კომისარიატი სამუსიკო განათლებას მიაწყობს გალობას (ვუნდი და სოლო). სასურველია, რომ ნოემბრის 8 და 9-ს გამოფენას ინახულებდნენ კოლლექტივები:—მუშები-კავშირებთან, ქარხანა-ზავოდებათ, წითელი-არმიები—ნაწილობრივად, მოსამსახურენი-დაწესებულებებით, მოწაფეები—სკოლებით.